საქართველოს მთავრობის

დადგენილება №214

2020 წლის 3 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/03/2020, 120160030.10.003.021892) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილების 1^1 მუხლით დამტკიცებულ დანართ №1-ში (ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი მეწარმე სუბიექტების ჩამონათვალი, რომლებსაც არ ეზღუდებათ ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში) დაემატოს შემდეგი მეწარმე სუბიექტი:

„404415290	შპს „სიქპა სიქურითი სოლუშენს ჯორჯია“	აქციზური/არააქციზური მარკების მიწოდება ან/და აქციზური/არააქციზური მარკებით ნიშანდების/მარკირების მომსახურება“

2. დადგენილების 1^2 მუხლით დამტკიცებულ დანართ №2-ში (ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებსაც შესაბამისი პირობებით არ ეზღუდებათ ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში) დაემატოს შემდეგი საქმიანობა:

„საკონტროლო-სალარო აპარატების ჩეკის დასაბეჭი ქაღალდის/რულონის მიწოდება“

3. დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საიმპორტო საქონლისათვის გრანტისა და ჰუმანიტარული დახმარების სტატუსის მინიჭება შეიძლება განხორციელდეს უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის გარეშე.“.

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 31 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**